სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამაგისტრო ნაშრომის შემუშავების, გაფორმების, დაცვისა და შეფასების წესის შესახებ

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე: ოქმი #13 14.03 2018;

ცვლილებები განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე: ოქმი #6 23. 04 . 2021;

ცვლილებები განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე: ოქმი #2 03.02.2022;

დამტკიცებულია წარმომადგენლობით საბჭოს სხდომაზე: ოქმი # 5 14.03.2018;

ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობით საბჭოს სხდომაზე: ოქმი #2 19. 05 . 2021;

ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობით საბჭოს სხდომაზე: ოქმი # 6 28.06.22

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: პროფესორი მ. ღარიბაშვილი

თელავი

2018

სამაგისტრო ნაშრომის შემუშავების, გაფორმების, დაცვისა და შეფასების წესი

1. სამაგისტრო ნაშრომი არის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის აუცილებელი სამეცნიერო -კვლევითი კომპონენტი, რომელიც სრულდება სწავლების მეოთხე სემესტრში, მოიცავს მინიმუმ 30 ECTS კრედიტს და ფასდება ერთჯერადად დასკვნითი შეფასებით.
2. დიპლომის დანართში სამაგისტრო ნაშრომი შედის, როგორც ცალკე პუნქტი და ფასდება, როგორც სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი. კვლევითი კომპონენტი ითვალისწინებს მაგისტრანტის მიერ შესაბამის მიმართულებაში ჩატარებულ დამოუკიდებელ კვლევას. სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს დასრულებულ ინოვაციურ კვლევას, რომელიც უნდა ასახავდეს კურსდამთავრებულის უნარს ჩაატაროს სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო ან სხვა სახის სამუშაოები.
3. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება რექტორის მიერ დანიშნული საგამოცდო კომისიის წინაშე. კომისიის შემადგენლობაში შედის შესაბამისი/მონათესავე მიმართულების 3-5 პროფესორი/ასოცირებული პროფესორი /ასისტენტ პროფესორი ან შესაბამის მიმართულებაში სამეცნიერო ხარისხის მქონე მოწვეული პროფესორი.
4. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს შესაბამისი მიმართულების პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან ასისტენტ პროფესორი. აუცილებლობის შემთხვევაში კი შესაბამის მიმართულებაში სამეცნიერო ხარისხის მქონე მოწვეული პირი.
5. ერთსა და იმავე სემესტრში ერთი პროფესორი შეიძლება იყოს მაქსიმუმ 5 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი. გამონაკლისი შემთხვევა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დადასტურებული იქნება ამის ობიექტური აუცილებლობა. ასეთ აუცილებლობას ადგენს ფაკულტეტის საბჭო დეპარტამენტის ან შესაბამისი მიმართულების ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე.
6. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია სისტემატური ზედამხედველობა გაუწიოს სტუდენტის მუშაობას, დაეხმაროს მას სამუშაო პროცესის გეგმიურად წარმართვაში, გაუწიოს სათანადო კონსულტაციები, განუმარტოს სტუდენტს მისი უფლება-მოვალეობები და მოსთხოვოს მათი დაცვა.
7. სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევა ხდება სტუდენტისა და მისი ხელმძღვანელის მოსაზრებათა შეჯერების საფუძველზე. სასურველია საბაზო დეპარტამენტის მიერ სამაგისტრო ნაშრომის ზოგადი პრობლემატიკის ჩამონათვალის მომზადება, რომელსაც სტუდენტი დაეყრდნობა საკუთარი თემის შერჩევისას. სტუდენტი უფლებამოსილია თვითონ შეარჩიოს სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი, რომელიც იქნება კომპეტენტური სამაგისტრო ნაშრომის თემატიკის მიმართულებით.
8. სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს ხელმისაწვდომი ლიტერატურის არსებობა, სასწავლო და სამეცნიერო-ტექნიკური ბაზის შესაძლებლობები.
9. სტუდენტის მიერ შერჩეულ თემას განიხილავს საბაზო დეპარტამენტი და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო, რის შესახებაც ფორმდება შესაბამისი ოქმი. თემის დამტკიცება შესაძლებელია მესამე სემესტრიდან. ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული თემის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ ერთხელ. თემის შეცვლა შესაძლებელია მოხდეს მესამე სემესტრის დასრულებამდე.

10. ამოღებულია

(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #6 28.06.2022)

11. საბაზო დეპარტამენტი ვალდებულია თვალყური ადევნოს სტუდენტის მუშაობას სამაგისტრო ნაშრომზე და პერიოდულად მოისმინოს მუშაობის ანგარიში სტუდენტისგან და მისი ხელმძღვანელისგან დეპარტამენტის სხდომებზე. დეპარტამენტის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე ფაკულტეტის საბჭო განსაზღვრავს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, ჩაბარებისა და დაცვის ვადებს და უზუნველყოფს ამ ინფორმაციის საჯაროობას ყველა ხელმისაწვდომი საშუალებით.

12. სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა შედგება შემდეგი აუცილებელი პუნქტებისაგან:

- თავფურცელი *[დანართი №1 შესაბამისად]*;
- სარჩევი *[თანმიმდევრულად უნდა აისახოს ნაშრომის სრული ტექსტის, ყველა თავისა და/ან პარაგრაფის ზუსტი დასახელება საწყისი გვერდების ნომრების მითითებით]*;

  (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #6 28.06.2022)
- ნაშრომი:
  - შესავალი *[უნდა აისახოს თემის მიზანი, ძირითადი შედეგები და სამეცნიერო სიახლეები, კვლევის დროს გამოყენებული მეთოდები და სამეცნიერო-ტექნიკური გაზა]*;
  - ძირითადი ნაწილი [*უნდა აისახოს ნაშრომის შინაარსი და სასურველია დაყოფილ იქნას თავებად და/ან პარაგრაფებად]*;
  - დასკვნა *[უნდა აისახოს მიღებული ახალი მეცნიერული კვლევის შედეგების თეორიული მნიშვნელობა, პრაქტიკული ღირებულება და გამოყენების პერსპექტივა]*;
- გამოყენებული ლიტერატურა გაფორმებული უნდა იყოს APA ფორმატის მიხედვით. აგრეთვე დასაშვებია: ანბანური თანმიმდევრობით აკადემიური წერის სტანდარტების შესაბამისად; ანბანურ ჩამონათვალში თავდაპირველად უნდა მიეთითოს გამოცემები ქართულ ენაზე, ხოლო შემდეგ უცხოურ ენაზე/ენებზე;
- დანართი *[საჭიროების შემთხვევაში]*;
- ანოტაცია *[მოკლედ უნდა აღიწეროს ნაშრომის მიზნები და ამოცანები, აქტუალობა, ორიგინალობა, მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები]*.

13. სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ენაა ქართული, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი სრულდება უცხოენოვანი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში დასაშვებია ლიტერატურის გამოყენება უცხო ენაზე/ენებზე.

14. სამაგისტრო ნაშრომის ტექსტში გამოყენებული ციტატების ბოლოს კვადრატულ ფრჩხილებში უნდა მიეთითოს ის ლიტერატურა და კონკრეტული გვერდი რომლიდანაც ციტატა იქნა მოყვანილი (მაგ. [5], რაც ნიშნავს გამოყენებული ლიტერატურის ნუსხაში მეხუთე ნომერს).

(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #6 28.06.2022)

15. სამაგისტრო ნაშრომის ტექსტში გამოყენებული სურათები, ნახატები, ნახაზები, დიაგრამები, ცხრილები და სხვ. უნდა იყოს გადანომრილი საჭირო განმარტებების მითითებით.

16. სამაგისტრო ნაშრომის გაფორმება ხდება შემდეგი წესის მიხედვით:

- ნაშრომი უნდა იყოს დაბეჭდილი A4 ზომის სტანდარტულ ქაღალდზე;
- შრიფტი – Sylfaen;
- ფონტის ზომა – 12;

- სტრიქონებს შორის ინტერვალი – 1,5;
- სტანდარტული მინდვრები: მარცხენა – 3 სმ., მარჯვენა – 1,5 სმ., ზედა – 2 სმ., ქვედა – 2 სმ.;
- ნაშრომის გვერდები, გარდა თავფურცელისა, უნდა იყოს დანომრილი.

17. მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, საინჟინრო და აგრარული მეცნიერებების მიმართულების საგანამანათლებლო პროგრამებისათვის სამაგისტრო ნაშრომის მინიმალური მოცულობაა 30 გვერდი, მაქსიმალური – 50 გვერდი, ხოლო დანარჩენი პროგრამებისათვის კი – მინიმალური მოცულობაა 50 გვერდი, მაქსიმალური – 70 გვერდი, თავფურცელისა და ბიბლიოგრაფიის ჩათვლით.
18. სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს საბაზო დეპარტამენტში დაბეჭდილი და ყდაში აკინძული სახით, ორ ეგზემპლარად, ფაკულტეტის საბჭოს მიერ დადგენილ და საჯაროდ გამოცხადებულ ვადებში. სტუდენტი აგრეთვე ვალდებულია წარმოადგინოს კომპაქტ-დისკზე (CD-R) ჩაწერილი ნაშრომის ელექტრონული ვერსია.
19. სამაგისტრო ნაშრომს დართული უნდა ჰქონდეს ხელმძღვანელისა და რეცენზენტის წერილობითი დასკვნები.
20. სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისია რეცენზენტად ამტკიცებს პირს, რომელსაც გააჩნი დოქტორის აკადემიური ხარისხი ან არის შესაბამისი მიმართულების დოქტორანტი. რეცენზენტი არ შეიძლება იყოს სამაგისტრო ნაშრომის შემუშავებაში მონაწილე პირი.
21. სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე სულ ცოტა ორი კვირით ადრე ხელმძღვანელმა უნდა წარადგინოს წერილობითი რეცენზია სამაგისტრო ნაშრომის შესახებ. დადებითი რეცენზიის შემთხვევაში იგივე დასკვნაში უნდა ჩანდეს შუამდგომლობა, რათა ნაშრომი დაშვებულ იქნას დაცვაზე. ხელმძღვენლის დასკვნა დამოწმებული უნდა იყოს ფაკულტეტის ბეჭდით და მასზე აღნიშნული უნდა იყოს დოკუმენტის ჩაბარების თარიღი.
(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #6 28.06.2022)
22. სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე სულ ცოტა ორი კვირით ადრე რეცენზენტმა უნდა წარადგინოს წერილობითი რეცენზია სამაგისტრო ნაშრომის შესახებ. დადებითი რეცენზიის შემთხვევაში იგივე დასკვნაში უნდა ჩანდეს შუამდგომლობა, რათა ნაშრომი დაშვებულ იქნას დაცვაზე. რეცენზენტის დასკვნა დამოწმებული უნდა იყოს ფაკულტეტის ბეჭდით და მასზე აღნიშნული უნდა იყოს დოკუმენტის ჩაბარების თარიღი.
(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #6 28.06.2022)
23. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად მისი დაცვის შემდეგ. სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისას განსაზღვრული უნდა იყოს ხელმძღვანელის, რეცენზენტებისა და კომისიის შეფასებები შესაბამისი პროპორციების დაცვით. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესი და კრიტერიუმები განსაზღვრულია სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში ან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის დანართებში.
(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #6 28.06.2022)
24. სტუდენტი დაიშვება სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე თუ მას შესრულებული აქვს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სხვა მოთხოვნა, არა აქვს ფინანსური და აკადემიური დავალიანება და აქვს ხელმძღვანელისა და რეცენზენტის შუამდგომლობა, რათა ნაშრომი დაშვებულ იქნას დაცვაზე.
25. წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი განხილვა (აპრობაცია) ხდება დაცვამდე არაუგვიანეს სამი კვირისა იმ დეპარტამენტში, სადაც შესრულდა სამაგისტრო ნაშრომი. დეპარტამენტის სხდომაზე განიხილება შესრულებული სამაგისტრო ნაშრომის შესაბამისობა სამაგისტრო ნაშრომის მიმართ დადგენილ მოთხოვნებთან. საჭიროების

შემთხვევაში მაგისტრანტს ეძლევა რეკომენდაციები არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად, რის შესახებაც ფორმდება შესაბამისი ოქმი. წინასწარი განხილვისა და ანტიპლაგიატის ელექტრუნულ პროგრამაზე შემოწმების გარეშე ნაშრომი არ დაიშვება საჯარო დაცვაზე. ანტიპლაგიატის პროგრამაზე შემოწმების წესები დგინდება სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსით.

(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #6 28.06.2022)

26. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვა ხდება საბაზო დეპარტამენტში, კომისიის წინაშე, ნაშრომის წარმოდგენის შემთხვევაში იმავე ან მომდევნო სემესტრში.
27. შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატი ვალდებულია დაცვამდე სულ ცოტა ერთი კვირით ადრე განათავსოს განცხადებები დაგეგმილი დაცვების შესახებ ფაკულტეტის განცხადებების დაფასა და უნივერსიტეტის ვებგვერდზე შემდეგი ინფორმაციის მითითებით:
    - დაცვის თარიღი და დრო;
    - დაცვის ჩატარების ზუსტი ადგილი;
    - დაცვის კომისიის წევრების ვინაობა;
    - დაცვაზე დაშვებულ სტუდენტთა სია სამაგისტრო ნაშრომის თემის სახელწოდების მითითებით.
28. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა წარიმართება ღიად და საჯაროდ. დაუშვებელია დაცვის წარმართვა დახურულ კარს მიღმა.
29. დასაშვებია ერთ სხდომაზე რამოდენიმე დაცვის ჩატარება.
30. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა მიმდინარეობს ქართულ ენაზე გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი შესრულებულია უცხოენოვანი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში.
31. დაცვის დაწყებამდე გამოცხადებული უნდა იყოს დაცვის წარმართვის წესი. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრები ვალდებულნი არიან გაეცნონ სამაგისტრო ნაშრომს დაცვის დაწყებამდე. საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებით პირობებს განსაზღვრავს ფაკულტეტის საბჭო. ასეთ შემთხვევაში ეს პირობები გამოცხადებული უნდა იყოს დაცვამდე სულ ცოტა ერთი კვირით ადრე.
32. ერთი სტუდენტის დაცვის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 40 წუთს. დროს აკონტროლებს კომისიის მდივანი , რომელსაც ირჩევს კომისია სხდომის დაწყების წინ.
33. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა მიმდინარეობს შემდეგი პროცედურების დაცვით:
    - დაცვის კომისიის მდივანი აცნობს დამსწრეთ სტუდენტის ვინაობას;
    - სამაგისტრო ნაშრომს სტუდენტი წარადგენს 15-25 წუთიანი მოხსენებით მის მიერ შესრულებული კვლევის შესახებ. სტუდენტის მოხსენებაში ჩამოყალიბებული უნდა იყოს:
        - სამაგისტრო ნაშრომის თემა;
        - თემის აქტუალობა და მეცნიერული სიახლე;
        - ნაშრომის მიზნები და დასმული ამოცანები;
        - კვლევის ძირითადი შედეგები;
        - მიღებული ახალი მეცნიერული შედეგების თეორიული მნიშვნელობა, პრაქტიკული ღირებულება და გამოყენების პერსპექტივა;
    - სტუდენტის მოხსენების შემდეგ კომისიის წევრებს საშუალება ეძლევათ დაუსვან მას კითხვები წარმოდგენილი თემის ირგვლივ. სტუდენტი ვალდებულია თანმიმდევრულად გასცეს პასუხი თითოეულ შეკითხვას. კომისიის თავმჯდომარე

აკონტროლებს, რომ კომისიის ყველა წევრს მიეცეს კითხვების დასმის შესაძლებლობა. დაცვის დროს კითხვების დასმის უფლება აქვს მხოლოდ კომისიის წევრს. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცესს წარმართავს კომისიის თავმჯდომარე. მაგისტრანტის ხელმძღვანელი (ხელმძღვანელის არ ყოფნის შემთხვევაში - სხდომის მდივანი) დამსწრე საზოგადოებას გააცნობს:

- მაგისტრანტის სამეცნიერო პუბლიკაციების რაოდენობას (არსებობის შემთხვევაში);
- მაგისტრანტის აქტიურობას სამეცნიერო და სასწავლო პროცესში;
- სამაგისტრო ნაშრომის შესახებ დასკვნას.

- რეცენზენტი (რეცენზენტის არ ყოფნის შემთხვევაში - სხდომის მდივანი გააცნობს კომისიას რეცენზენტის წერილობით დასკვნას) დამსწრე საზოგადოებას გააცნობს მაგისტრანტის მიერ წარმოდგენილი ნაშრომის შესახებ შენიშვნებსა და დასკვნას;
- მაგისტრანტი ვალდებულია გასცეს პასუხი რეცენზენტის მიერ გამოთქმულ შენიშვნებს.

34. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება პროგრამაში გათვალისწინებული სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსის პირობების თანახმად. სამაგისტრო ნაშრომში სტუდენტის მიერ მიღებული შეფასებები ფორმდება შესაბამისი ოქმით/უწყისით (სურვილის შემთხვევაში შესაძლოა დანართების (1,2,3,4,5) გამოყენება. დანართებში მითითებული კრიტერიუმები შესაძლოა შეიცვალოს თემის/პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით ასეთ შემთხვევაში პროგრამას თან უნდა ერთვოდეს განსხვავებული ფორმის შესაბამისი დანართები).
(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #6 28.06.2022)

35. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით შემდეგი სქემის მიხედვით:

ქულების განაწილება	შეფასება
91-100	(A) ფრიადი
81-90	(B) ძალიან კარგი
71-80	(C) კარგი
61-70	(D) დამაკმაყოფილებელი
51-60	(E) საკმარისი
41-50	(FX) ვერ ჩააბარა (რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება)
0-40	(F) ჩაიჭრა (რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი)

36. თუ სამაგისტრო ნაშრომი შეფასდება 41-დან 50 (FX) ქულის ჩათვლით, ინიშნება განმეორებითი დაცვა მომდევნო სემესტრის განმავლობაში. თარიღს განსაზღვრავს ფაკულტეტის საბჭო. სტუდენტის განმეორებით დაცვაზე დაშვება შესაძლებელია მოხდეს საპატიო მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტის არსებობის შემთხვევაში რაც დაადასტურებს, რომ დათქმულ დროს სტუდენტის დაცვაზე დასწრება იყო შეუძლებელი (საპატიო მიზეზი შეიძლება იყოს: ავადმყოფობა, სტიქიური უბედურება, ოჯახის წევრის გარდაცვალება, მნიშვნელოვან ფორუმებში/კონფერენციებში/სახელოვნებო და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა. აღნიშნულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო, ასეთ შემთხვევაში სტუდენტი დამატებით საფასურს არ იხდის, იგი განცხადებით მიმართავს რექტორს არგუმენტირებული დასაბუთებით და ითხოვს მომდევნო სემესტრში დაცვის დანიშვნას. აღნიშნული პირობა ვრცელდება იმ სტუდენტებზე ვინც პროგრამით გათვალისწინებული ყველა პირობა შეასრულა, არ

ერიცხება ფინანსური დავალიანება და სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია საბოლოოდ ყველა პირობის დაცვით.)

(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #6 28.06.2022)

37. სტუდენტის განცხადება განმეორებითი დაცვის მოთხოვნის შესახებ ფაკულტეტის დეკანს უნდა წარედგინოს მომდევნო სემესტრის დაწყებამდე.

(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #6 28.06.2022)

38. თუ სამაგისტრო ნაშრომი შეფასდება 41-ზე (F) ნაკლები ქულით, მისი განმეორებითი დაცვა არ მოხდება. სტუდენტს უფლება ეძლევა დაწეროს ახალი ნაშრომი სხვა თემაზე, იგივე ან სხვა ხელმძღვანელთან. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია გადაიხადოს დამატებითი გადასახადი შესაბამისი კრედიტების ასათვისებლად და აღმოფხვრას აკადემიური დავალიანება დამატებით სემესტრში. თუ სტუდენტმა ვერ მოახერხა დამატებით სემესტრშიც სამაგისტრო ნაშრომის დაცვა მას შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი.

(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #6 28.06.2022)

39. სტუდენტს შეუძლია გაასაჩივროს სამაგისტრო ნაშრომის დაცვისას მიღებული ქულა ფაკულტეტის დეკანატში ან/და ფაკულტეტის ან/და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში. გასაჩივრება უნდა მოხდეს დაცვის დღიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა. სამაგისრო ნაშრომის შეფასების გასაჩივრების ყოველი შემთხვევა განიხილება ფაკულტეტის საბჭოზე, განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 4 სამუშაო დღისა. ფაკულტეტის საბჭოსა და შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე შესაძლებელია დაცვის ხელმეორედ დანიშვნა.

40. სამაგისტრო ნაშრომის საქმის წარმოებისას პლაგიატის შემთხვევების გამოვლენა არის მაგისტრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის არგაცემის ან ჩამორთმევის საფუძველი. ასეთ გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო ფაკულტეტის საბჭო არგუმენტირებული დასაბუთების საფუძველზე.

(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #6 28.06.2022)

41. დაცვის შემდეგ, სამაგისტრო ნაშრომი 2 აკადემიური წლის განმავლობაში ინახება საბაზო დეპარტამენტში ნაშრომის დაცვის ოქმის ამონაწერთან ერთად. აღნიშნული პერიოდის შემდეგ სამაგისტრო ნაშრომი დაცვის ოქმის ამონაწერთან ერთად გადაეცემა უნივერსიტეტის არქივს.

42. სამაგისტრო ნაშრომის შემუშავების, გაფორმებისა და შეფასების საკითხები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე დებულებით შესაძლებელია ფაკულტეტის საბჭოს დედგენილებით იქნეს გათვალისწინებული საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერისტეტში მოქმედი რეგულაციების გათვალისწინებით.

(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #6 28.06.2022)

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: **პროფ. მანანა ღრიბაშვილი**

დანართი №1

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

[ფაკულტეტის სახელწოდება]

[დეპარტამენტის სახელწოდება]

[სტუდენტის სახელი და გვარი]

სამაგისტრო ნაშრომი

[სამაგისტრო ნაშრომის სახელწოდება]

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

საგანმანათლებლო პროგრამა: [სახელწოდება]

ხელმძღვანელი: [თანამდებობა, წოდება, სახელი, გვარი]

თელავი
202.... წ.

202 _____ / 202_____ სასწავლო წელი

_____ სემესტრი

ბ.ა.

მაგისტრატურა

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების უწყისი

ხელმძღვანელის დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომის თემა: _____

სტუდენტი: _____

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: _____

დასკვნის შემუშავების თარიღი: " _____ " _____ 202 ____ წელი

კრიტერიუმი	კომენტარი	ქულათა მაქსიმალური რაოდენობა	შეფასება
თემის აქტუალობა		10	
ნაშრომის მეცნიერული სიახლე		10	
თემის ორიგინალობა		10	
დასმული საკითხების გადაწყვეტის ადეკვატურობა		10	
ქულათა ჯამი		40	
შუამდგომლობა			

ხელმძღვანელის ხელმოწერა: _____

მიღების თარიღი: " _____ " _____ 202 ____ წელი

ფაკულტეტის დეკანი: _____

ბ.ა.

დანართი №3

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

_____ ფაკულტეტი

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: _____

202 _____ / 202_____ სასწავლო წელი

_____ სემესტრი

ბ.ა.

მაგისტრატურა

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების უწყისი

რეცენზენტის დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომის თემა: _____

სტუდენტი: _____

სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტი: _____

დასკვნის შემუშავების თარიღი: " _____ " _____ 202 ____ წელი

კრიტერიუმი	კომენტარი	ქულათა მაქსიმალური რაოდენობა	შეფასება
თემის აქტუალობა		10	
ნაშრომის მეცნიერული სიახლე		10	
თემის ორიგინალობა		10	
დასმული საკითხების გადაწყვეტის ადეკვატურობა		10	
ქულათა ჯამი		40	
შუამდგომლობა			

რეცენზენტის ხელმოწერა: _____

მიღების თარიღი: " _____ " _____ 202 ____ წელი

ფაკულტეტის დეკანი: _____

ბ.ა.

დანართი №4

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

_____ ფაკულტეტი

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: _____

202 _____ / 202_____ სასწავლო წელი

_____ სემესტრი

ბ.ა.

მაგისტრატურა

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების უწყისი

კომისიის წევრის შეფასება

სამაგისტრო ნაშრომის თემა: _____

სტუდენტი: _____

სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრი: _____

სამაგისტრო ნაშრომის დაცვის ჩატარების თარიღი: "_____" _____ 202____ წელი

კრიტერიუმი	კომენტარი	ქულათა მაქსიმალური რაოდენობა	შეფასება
თემის აქტუალობა		15	
ნაშრომის მეცნიერული სიახლე		15	
ნაშრომის ლოგიკურობა		10	
ნაშრომის გაფორმება		5	
სტუდენტის პრეზენტაცია		5	
სტუდენტის მიერ კითხვებზე პასუხის გაცემა		10	
ქულათა ჯამი		60	

კომისიის წევრის ხელმოწერა: _____

ფაკულტეტის დეკანი: _____

ბ.ა.

დანართი №5

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

_____ ფაკულტეტი

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: _____

202 _____ / 202_____ სასწავლო წელი

_____ სემესტრი

ბ.ა.

მაგისტრატურა

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების უწყისი

სწავლების წელი: _____ კრედიტების რაოდენობა: _____ სტატუსი: _____

სამაგისტრო ნაშრომის თემა: _____

სტუდენტი: _____

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: _____

სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტი: _____

სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრები: _____

_____

_____

სამაგისტრო ნაშრომის დაცვის ჩატარების თარიღი: " _____ " _____ 202 ____ წელი

ხელმძღვანელისა და რეცენზენტის შეფასებების საშუალო ქულა (მაქს. 40 ქ.)	კომისიის წევრების შეფასებების საშუალო ქულა (მაქს. 60ქ.)	ხელმძღვანელისა და რეცენზენტის საშუალო ქულისა და კომისიის წევრების საშუალო ქულის ჯამი (მაქს. 100 ქ.)	საბოლოო შეფასება	ხელმძღვანელის ხელმოწერა	რეცენზენტის ხელმოწერა	კომისიის წევრების ხელმოწერები
1	2	3	4	5	6	7

ფაკულტეტის დეკანი: _____

ბ.ა.

შეფასების სისტემის განაწილების სქემა:

ქულების განაწილება	შეფასება
91-100	(A) ფრიადი
81-90	(B) ძალიან კარგი
71-80	(C) კარგი
61-70	(D) დამაკმაყოფილებელი
51-60	(E) საკმარისი
41-50	(FX) ვერ ჩააბარა (რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება)
0-40	(F) ჩაიჭრა (რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი)